პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, ზეერთდიეთ!

თბილისის უნივერსიტეტი

№ 39 (353)
30 დეკემბერი, შაბათი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, ადგილკომისა და პროფკომის ორგანო.

ТБИЛИСИС УНИВЕРСИТЕТИ — Орган Парткома, Ректората, Комитета ЛКСМ, Месткома и Профкома Тбилисского Государственного Университета

მინდა ვუსურვო

დგება ახალი 1962 წელი. რას მოგვიტანს?... რა უნდა ვუსურვო ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობას?... ჩვენი დრო ხომ არაჩვეულებრივი დროა. არამც თუ ყოველ ახალ წელს, არამედ შეიძლება ითქვას, ყოველ დღესაც კი მოაქვს ახალი ამბავი, ახალი მოვლენა. ამასთან, ისიც კარგად ვიცით, რომ ყოველი ახალი ამბავი, ახალი მოვლენა, ყოველი ახალი გამარჯვება ჩვენგან ითხოვს: მეტ ვალდებულება-პასუხისმგებლობას, მეტად დაჭიმულ სიფხიზლეყურადღებასა და შემოქმედებითი უნარის გამოვლინებას:

ამგვარი ვალდებულება თუ პასუხისმგებლობა ჩვენ ყველას გვეკისრება, მაგრამ განსაკუთრებით კი ძველი თაობის დირსეულ შემცვლელ ახალგაზრდობას, კერძოდ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობას.

მე მინდა წრფელი, კეთილი გულით ვუსურვო ყოველ ჩვენს სტუდენტს გონიერულად აფასებდეს როგორც თავის შშობლების, ისე ჩვენი ქვეყნის მისდამი სიყვარულს, ზრუნვას, ღვაწლს, შეგნებულად განიცდიდეს მათ დაუძლეველ მისწრაფებას — მისცენ მას განათლება, ნიჭისა და უნარის განვითარებისა და გამოელინების საშუალება.

მე მინდა ვუსურვო ყოველ ჩვენს სტუდენტს, ღრმად ჩაძონდეს ჩაბეჭდილი ჩვენი ხალხის მიერ ცხოვრებაში გამომუშავებული ბეშშარიტი ცნება: „ის ურჩენია მამელსა, რომ შეილი სჯობდეს მამასა". ეს ნატვრა კი განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ყოველი სტუდენტი, როგორც ეს ნამდვილ, შეგნებულ მოქალაქე-ახალგაზრდას შეეფერება, შეგნებულად გამიჩეკალება თავისი ადრდი მოვალეობის პირნათლად შესრულებით: გულმოდგინედ იშრომებს, შეეცდება უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გაღრმაოს, გაფართოვოს; დროს ძვირად აფასებდეს, მისი გონიერულად გამოყენების ჩვევას ამეკიცებდეს, ცუდ-უბრალოდ დროს არ კარგავდეს; გაუფრთხილდეს თავის ჯანმრთელობას, ახსოვდეს რომ „სალი ტვინი სალ ორგანიზმშია". მტკიცედ იცოდეს, რომ კაცი სახელს ყრმობიდანვე უნდა უფრთხილდებოდეს — ახსოვდეს, რომ სახელის გაფუჭება ადვილია და სამარცხვინო, სახელის მოხვეჭა კი, თუმცა ძნელია, მაგრამ საამაყო და სასახელოა.

მე მინდა ვუსურვო ჩვენს სტუდენტს, რომ ისინი როგორც ცოდნით, მიღებული ცოდნის გამოყენებით, ისე კარგი ყოფა-ქცევით შინ თუ გარეთ მისაბაძი შეიქმნენ მომდევნო თაობათათვის.

მე მინდა ვუსურვო ჩვენს სტუდენტობას, რომ მათ შეეძლოთ თამამად შესძახონ ჩვენს შშობლებსა და ხალხს:

„დედამ რომ შვილი გაზარდოს, —
ემაგრე ჩვენისთანაო,
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო".

პროფ. მიხ. ზანდუკელი

მრავალ ახალ წელს, მეგობრებო!

წელთა მარადისობას უერთდება კიდევ ერთი, 1961 წელი — ზღაპრული გამარჯვებების, ადამიანის გონების ძლევამოსილი ზეასვლის, კომუნიზმის საბედნიერო მოახლოების, ბეშშარტად კოსმოსურ საოცრებათა წელი, რომელიც ოქროს ჯიღასავით დაამშვენებს კაცობრობის ბაღარა ისტორიის მაღალ უუბლს.

1961 წლის ყოველი დღე, ყოველი წუთი განათებულია გმირი საბჭოთა ხალხის ტრიუმფის, მისი გმირული სულის, გაუბზარავი რწმენისა და ტიტანური ენერგიის კაშკაშა სხივებით, განათებულია გამბედული შემოქმედებითი ძიებებისა და საამაყო აღმოჩენების დიდებული შუქით.

1961 წელს მომმდარი დიდი მოვლენებისათვის თვალის უბრალო გადავლებაც კი განაცვიფრებს, აღფრთოვანებს და სიამაყის გრძნობით ალავსებს ადამიანს:

...კაცობრიობას ახალი სასწაულის ემცნო: საბჭოთა მოკავალე მაიორი იური გაგარინი შობილთა შორის პირველი გაფრინდა კოსმოსში. სულ მალე მან კოსმიური ეხეტფეტა გადასცა შეორე საბჭოთა გმირს გერმანე ტიტოვს, რომელმაც იური გაგარინის გმირობით გაოცებულ უსასრულო სამყაროს. ისევ დაურღვია მეუდრეობა და კოსმოსური ხომალდით „აღმოსავლეთი 2" 25 საათსა და 18 წუთში 17-ჯერ შემოუარა ჩვენს პლანეტას.

საბჭოთა ხალხის ამ მიუწვდომელმა გამარჯვებებმა გაჯოცა, აღფრთოვანა დედამიწის ყველა მცხოვრები, მისი ორი ათას შვიდას სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანი.

1961 წლის გვიჩანგენი კი მაინც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობაა, კომუნიზმის მშენებელთა დიადი ყრილობა, რომელის ისტორიული გადაწყვეტილებები აღანთებენ საბჭოთა ხალხსა და მთელს პროგრესულ კაცობრიობას კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გვიმშვიდობება 1961 წელი, საბჭოთა ხალხის წარმატებათა კიდევ ერთი წელი, უკვდავი წელი.

საამაყო მიღწევებით აცილებს მას ჩვენი საბჭოთა საკარეველო, რომელმაც სწორედ ამ წელს იზეიმა თავისი მეორმოცე გაზაფხული.

დიდი ქართველი ხალხის წარმატებები სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა სფეროში. ამ საერთო წარმატებებში თვალსაჩინოა ქართული ეროვნული კულტურის აყვავებაც და ამ საქმეში ჩვენი უნივერსიტეტის წვლილიც. ჩვენი სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები ზრდიან ახალგაზრდობას მეცნიერების საფუძვლთა ღრმა ცოდნით, ზრდიან პარტიისა და ხალხის ერთგულ, სახარგებლო მამულიშვილებად.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი უნივერსიტეტის მრავალთასიანი კოლექტივის წევრები, შეიარაღებულნი პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, გამარჯვებით აცილებენ ძველ 1961 წელს და ზეიმით ეგებებიან ახალს.

ვიშრომოთ, ვიცხოვროთ, ვისწავლოთ ისე, რომ მარტო ორი სიტყვა „ყოჩაღ, კარგია!" — შეგვეფერებოდეს — ასეთია ჩვენი უნივერსიტეტის ყოველი პროფესორის, დოცენტის, მასწავლებლის, სტუდენტთა და თანამშრომელთა საახალწლო ფიქრი, ოცნება, მიზანი.

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო! სულითა და გულით გილოცავთ ახალი წლის მოძრაჟნებას, ახალახალი გამარჯვებებით, გაგეხარებინოთ პარტია და ხალხი.

დ. თურქაძე

გილოცავთ ყველას!

თორმეტჯერ დაკრა...
თორმეტჯერ დაკრა,
მთები გაუთეთრებია
თოვლის ზოლს,
კვლავ შრომით ვხვდებით
ბარმაგს და ახალს
წელს
ათას ცხრაას სამოცდა ორს.
ახალი წელი, ახალი წელი...
ახლად ანთება აღმოსავლეთის.
ახალი წელი, ახალი წელი...
ახალი ფეიქვა
სიცოცხლის დენთის,
ახალი წელი
და სიხარულის
ვით ფაფუკ ფიფქთა უზომოდ ცვენა,
ახალ წელს გულით,
ალალი გულით
— გილოცავთ ყველას!
ახალს გვპირდება
მშვიდობის ზეცა
მთა და ბალიჩა
ჩვენი მთა-ველის,
სანაპიროზე თქვეს ციტრუსებმაც,
რომ აუკავდება ყველა მტაკველი.
ახალს გვპირდება
წელი ახალი,
რომ ხრიოკ მიწებს
ვაქცევთ ბალებად,
რომ სამშობლოის
ეს მთა, ეს ბარი...
ხვალ ახლებულად
ალაბინდება.
თორმეტჯერ დაკრა...
თორმეტჯერ დაკრა,
მთები გაუთეთრებია
თოვლის ზოლს,
კვლავ შრომით ვხვდებით
ბარმაგს და ახალს
წელს
ათასცხრაას სამოცდა ორს.
ახალი წელი
ეს სიხარულის,
ვით ფაფუკ ფიფქთა.
უზომოდ ცვენა,
ახალ წელს გულით,
ალალი გულით
გილოცავთ ყველას!

ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში

ახალი წელი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ახალი ეტაპია და, ცხადია, ის უნდა იყოს მისთვის უფრო ღრმა ადამიანური შინაარსით ალსავსე, ვიდრე წინა ეტაპები, რომ შესაძლებელი იყოს მისი, როგორც პიროვნების, შემდგომი განვითარება.

ახალგაზრდობა ადამიანთა საზოგადოების ახალი თაობაა და ამიტომ ის უნდა იყოს უფრო ღრმა ადამიანური თვისებების მატარებელი, ვიდრე მისი წინა თაობა, რომ შესაძლებელი იყოს საზოგადოების შემდგომი განვითარება.

ახალ წელთან დაკავშირებით ჩვენს სტუდენტებს, როგორც ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, აეესურვებდა დიდ წარმატებებს ადამიანის ადამიანური მოქმედების ყველა დარგის დაუფლებაში, რომლებიც საკმაოდ სრულყოფილად წარმოდგენილია ჩვენს მრავალრიცხოვან უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, ჩვენს უნივერსიტეტში.

ადამიანის ადამიანური მოქმედების სრულყოფილ საფუძველს წარმოადგენს XXII ყრილობის მიერ დამტკიცებული პროგრამა, რომლის საფუძველზე კომუნისტური საზოგადოების აშენება საბჭოთა ხალხს უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა. ცხადია, ამ ამოცანის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება მოუხდებათ ავრეთვე ჩვენს სტუდენტებსაც. რაც მთავარ მოითხოვს სათანადო მეცნიერულ და პრაქტიკულ მომზადებას. ამისათვის საჭიროა სტუდენტებმა ღრმა თეორიული და ენციკლოპედიური ცოდნის შესაძენად იმეშაონ დაამბელად, რათა აღმოჩნდნენ კომუნიზმის მშენებელთა სიმაღლეზე. ვ. ი. ლენინი წერდა: „საქმე ახალ სწორად იმას ეხება, რომ ყოველი მზრდელ შეეფიდგეთ იმ შენობის პრაქტიკულ ამოყვანას, რომლის კედმა ჩვენ ეკეთ დიდი ხანია მოესახეთ... ჩვენიცვალ სამშაო ტანსაცმოსი, არ უნდა შეეფეშნდეთ მის გასჭრას ყოველგვარი დამზმარე მასალით, სასტიკად შეეფერულთან პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელ პირთა ბრძანებანი. — და ეს შენობა უნდა ვაშენოთ, ვაშენოთ და ვაშენოთ".

ვ. ი. ლენინის ეს სტატიები საუკეთესოდ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის მიერ კომუნიზმის შენების დიდ საქმეებს — ვაშენოთ, ვაშენოთ და ვაშენოთ!

სტუდენტებმა უნდა ისწავლონ, ისწავლონ და ისწავლონ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, რათა მათი მოღვაწეობა უფრო გამოსადეგი იყოს კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეში.

პროფ. მიხეილ ნოდია

რა ამოცანებს ვისახავთ?

რით სვდებით ახალ წელს, რა მიზნებს იხახავთ მომავალში? — ასეთი კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა ფურნალისტიკის კათედრის გამგეს პროფ. დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ს.

— ახალ წელს გარკვეული წარმატებებით ვხვდებით, — აღნიშნავს პროფ. დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, — ჩვენი განყოფილება ახლა ამაყობს კარგად მოწყობილი სასწავლო პოლიგრაფიული ლაბორატორიით, რომელიც დღითი დღე იზრდება და რომელიც ჩვენი სტუდენტების პრაქტიკული დასაპეციალების ერთ-ერთ მკვიდრ ბაზას წარმოადგენს, ამ ბოლო დროს ლაბორატორიას შეემატა ერთი ახალი საბეჭდი და ორი სტრიქონნამომსხმელი მანქანა. ამ პირობებში სტუდენტები ეცნობიან პოლიგრაფიულ საქმეს, უშვებენ თავიანთ სასწავლო გაზეთს — „ახალგაზრდა ჟურნალისტს", აქ ისინი თვითონ არიან ასოთამწყობები, დამკაბადონებელებიც და მბეჭდავებიც. სტილისტიკა და კორექტორებიც და, რაც მთავარია, — ავტორებიც.

წარმატებები გვაქვს სამეცნიერო კვლევითსა და საგამომცემლო საქმეშიც.

რას გვაკეთებთ მომავალში?. — 1962 წლის დასაწყისში მკითხველი საზოგადოება უკვე მიიღებს ნ. ნიკოლაძის თხზულებათა პირველ ტომს, რომელიც ჩვენმა კათედრამ მოამზადა გამოსაცემად (II ტომი უკვე გამოიცა გასულ წელს), ხოლო ზაფხულის პერიოდში ვფიქრობთ, მკითხველს მივაწოდოთ III ტომიც.

1962 წლის პირველ კვარტალში უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოიცემს კიტა აბაშიძის კრიტიკულ მემკვიდრეობას ერთ ტომად, სათანადო მეცნიერული აპარატურითა და შესავალი წერილით.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" გამოიცემს ხერეგი მესხის ოთხტომეულის I ტომს, რომელიც გამოსაცემად მიამზადა დოც. ი. ბოცვაძემ.

კათედრას გამოსაცემად უკვე მომზადებული აქვს ნ. ნიკოლაძის თხზულებათა IV და V ტომები, ხოლო 1962 წელს გამოსაცემად მოამზადებს VI და VII ტომებსაც.

ამასთან ერთად, 1962 წელს კათედრის ძალებით გამოსაცემად მომზადდება ივანე მაჩაბელი და ხიმღელების კრიტიკულ პუბლიცისტური მემკვიდრეობის ერთტომეულები.

კათედრა დიდ ამოცანებს ისახავს სასწავლო მუშაობის ხაზითაც. ამათგან მთავარია წინააღმდეგობის შექმნა, რათა მომავალი სასწავლო წლიდან ფურნალისტიკის განყოფილებასთან ჩამოყალიბდეს ტელე-ფურნალისტიკის სპეციალობა. ამ სპეციალობით კათედრასთან უკვე მზადდება ორი ასპირანტი.

სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) — გურამ გაბრიჩიძე, ნოდარ ბეგალიშვილი და ვლადიმერ შარაშენიძე მექანიკის ლაბორატორიაში ემზადებიან გამოცდისათვის.

ფოტო ლ. ჯილაუზეილისა

უკეთ ვიბრძოლებთ, უკეთ ვიმუშავებთ

ჩვენმა გამომცემლობამ გასულ წელს გამოცა სამოცდა ერთი სახელწოდების სასწავლო ლიტერატურა, წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი ლიტერატურა მივაწოდეთ დაუსწრებლად მოსწავლე სტუდენტებს.

1962 წელს გთვალისწინებულია ჩვენი ახალგაზრდობის უკეთესად მომზადება სახელმძღვანელოებითა და სხვა დამხმარე ლიტერატურით. ახალი თემატიკური გეგმიდან გამომცემლობას უკვე მზად აქვს სტამბაზე გადასაცემად რამდენიმე წიგნი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გამოიცემა XXII ყრილობის მასალების მიხედვით დამუშავებული სამეცნიერო სტატიების სპეციალური კრებული.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სტამბაში ხორციელდება ტექნიკური პროგრესი. გასული წლის დეკემბრის თვეში დაიდგა ორი ახალი ლინოტიპი, რამაც სალინოტიპო საამქროს ძალოვნება გაზარდა 30%-ით. იანვარში დაიდგმება უახლესი მარკის ორი ახალი სატიგელო მანქანა და საერთოდ გაგრძელდება სტამბისათვის საჭირო მანქანების შეძენა. მიღებულია ზომები საჭირო შრომატებისა და სხვა დამხმარე მასალების შესაძენად...

სტამბა-გამომცემლობის მუშა-მოსამსახურენი, სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, უკეთ იმუშავებენ და იბრძოლებენ მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების შესრულებისათვის და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პარტიისა და მთავრობის მითითებათა განხორციელების საფუძველზე განამტკიცებენ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს.

ალ. გაგესაძირია,
თსუ გამომცემლობის დირექტორი.

1961 — კარგი მოსავლიანი იყო

1961 წელს ორგანული ქიმიის კათედრამ ნაყოფიერად იმუშავა. კარგად ჩაატარა სასწავლო პედაგოგიური პროცესი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მიღებული საინტერესო შედეგები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობისა.

ჩვენი კათედრა წელს შეავსო ნიჭიერმა ახალგაზრდობამ. კათედრას ოთხი ახალი ასისტენტი შეემატა. ორმა ჩვენმა გაზრდილმა — რ. პაპავამ და კ. ჩერქეზიშვილმა დაიცვეს დისერტაცია და წარმატებით შრომობენ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ეროი სიტყვით, 1961 წელი ჩვენი კათედრისათვის კარგი მოსავლიანი წელი იყო.

მომავალი, ახალი, 1962 წელი კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება. ამას გვაკისრებს მშობლიური კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელიც მაყფიოდ თხოულობს ჩვენგან მაღალ კვალიფიციური კადრების მომზადებას, კადრებისა, რომელნიც იცავენ კომუნისტურ საზოგადოებაში. ჩვენი კათედრა ყველაფერს აკეთებდა და მომავალშიც გააკეთებს, რომ საშობლოს მიეცეთ მაღალკვალიფიციურ ინჟინერ კადრების აღზრდის საქმეში.

ქიმიას, და განსაკუთრებით ორგანულ ქიმიას დიდი მომავალი აქვს. ქიმიამ დიდი როლი უნდა შეასრულოს კომუნიზმისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ი ბაზის შექმნისათვის.

რა მიზნებს ვისახავ პირადად მე, როგორია ჩემი სურვილები? — პირველ რიგში ჩემი სურვილია, ის ამოცანები, რომელიც კათედრას აქვს დასახული, წარმატებით გადავწყვეტოთ. მეორე, კათედრა 1958 წლიდან ბრუნავს საპრობლემო ლაბორატორიის ბანსნაზე. მისი განხორციელება დიდად შეუწყობდა ხელს კათედრას სამეცნიერო მუშაობის გეგმების განხორციელებაში და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში.

დაბოლოს, მინდა ჩვენი უნივერსიტეტის ნიჭიერ ახალგაზრდობას მივულოცო მომავალი ახალი წელი და ვუსურვო მათ გამარჯვება სწავლასა და შრომაში, მეცნიერების დაუფლების საქმეში.

პროფ.
ნ.ლ. გვეტაძეითელი,
ორგანული ქიმიის კათედრის გამგე.

თბილისში სტუმრად იყვნენ პროფკავშირთა მოსკოვის V მსოფლიო კონგრესის დელეგატები, რომლებმაც დიდი ინტერესით დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები, მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტიც.

სურათზე: დელეგატების ერთი ჯგუფი უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

ფოტო ზ. რუსიასი

პრემიების მიკუთვნება

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ამასწინათ განიხილა საკითხი 1960 წელს შესრულებული საკავშირო მეცნიერული ნაშრომებისათვის უნივერსიტეტის პრემიების მიკუთვნების შესახებ.

სამეცნიერო საბჭოს დადგენილების შესაბამისად უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1960 წლის პირველი პრემია საპატიო სიგელითა და 1500 მანეთის რაოდენობით მიენიჭა პროფ. **დავით იაკორის ძე დოლიძის** შრომას — „ჰიდროაერომექანიკა" (თსუ გამომცემლობა, 1960 წ.).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1960 წლის მეორე პრემია საპატიო სიგელითა და 1000 მანეთის რაოდენობით მიენიჭა პროფ. **გიორგი. კონსტანტინეს ძე ტატვაძის** ნაშრომს, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: 1. „ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში" (თსუ გამომცემლობა, 1959 წ.) 2. „ფეოდალური ევროპა X—XI საუკუნეებში") (თსუ გამომცემლობა, 1960 წ.).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1960—1961 სასწავლო წლის პრემიები საპატიო სიგელებითა და 50—50 მანეთის რაოდენობითმიეკუთვნა:

ს. კვიციანს, ისტორიის ფაკ. IV კურსის სტუდენტს, შრომისათვის „სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება 1875—1876 წლებში".

რ. ნათიშვილს, ფიზიკის ფაკ. II კურსის სტუდენტს, შრომისათვის — „თეორიული ინფორმაციული მიდგომა ფიზიკური ბიოლოგიის ზოგიერთი ამოცანებისადმი".

მ. გ. გრიგოლიას, მექანიკა-მათემატიკის ფაკ. IV კურსის სტუდენტს, შრომისათვის — „ეოშის ტიპის მულტიპლიკატორი ინტეგრალის ყოფა-ქცევის შესახებ წრის ბოლო წერტილის მიახლოებაში".

გ. შარაძეს, ფილოლოგიის ფაკ. III კურსის სტუდენტს, შრომისათვის — „ეეფხის კულტის საკითხი და ხალხური ბალადა «მოყმე და ვეფხი»".

მ. ჭინჭარაულს, ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს, შრომისათვის — „თემურ-გვარონული წყობის სოციალ-ეკონომიური გადმონაშთები ხევსურეთში".

გამოცდების წინ

კიდევ რამდენიმე დღე და დაიწყება მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის მუშაობის შემოწმებელი გამოცდები. გამოცდების შედეგები გვიჩვენებს, თუ როგორ იმუშავეს პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივმა, ჩვენმა სტუდენტებმა გასული ოთხი თვის განმავლობაში. მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მიღება შეიძლება მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა მთელი მონდომებით, ენერგიის დაძაბვით და სრული შეგნებით ეკიდებოდა სწავლის საქმეს მთელი სემესტრის განმავლობაში. სტუდენტი, რომელიც ფიქრობს, რომ ის საგნებს მოამზადებს სესიებისათვის განკუთვნილი დროის განმავლობაში, ვერასდროს ვერ მიაღწევს მაღალ აკადემიურ წარმატებას, სესიისათვის განკუთვნილი დრო გამოყენებულ უნდა იქნეს დამუშავებული მასალის განმეორებისათვის, დაგროვილი ცოდნის სისტემაში მოყვანისა და შეჯამებისათვის.

ქიმიის ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები სემესტრის დაწყების პირველი დღიდანვე შეუდგნენ სტუდენტთა შორის საჭირო მუშაობის გაწევას. სემესტრში ეველა კურსზე და აკადემიურ ჯგუფებში ჩატარდა საუბრები ნიჭნზე დამოუკიდებლად და მთელი სემესტრის განმავლობაში სისტემატურად მუშაობის აუცილებლობის შესახებ. როგორც დეკანატი, ისე კათედრები სისტემატურად კონტროლს უწევენენ ლექციებ-პრაქტიკუმებზე სტუდენტთა დასწრებას. ამით უნდა აიხსნას ის, რომ თითქმის ყველა სტუდენტმა მიიღო ჩათვლები.

სესიებისათვის მზადების საკითხი დროულად განიხილა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ და დასახა ღონისძიებანი მათი მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარების უზრუნველყოფისათვის. სესიების დაწყებამდე ორი თვით ადრე დაზუსტდა საგამოცდო და ჩასათვლელი საგნები და ეს ეცნობა ყველელ სტუდენტს.

სესიების დაწყებამდე ერთი თვით ადრე შედგენილ იქნა საგამოცდო ცხრილები, ისე რომ გათვალისწინებულ იქნა სტუდენტების უმრავლესობის სურვილი ჩაბარებული საგნების კალენდარული თანმიმდევრობის შესახებ, ჩასაბარებელ საგანთა შორის ყოველი შუალედი შედგენს 4-5 დღეს.

წინა წლების სესიების ორგანიზაციის პრაქტიკამ ნათლად დაგვანახვა, რომ უკეთეს შედეგს იძლევა გამოცდების ჩაბარება აკადემიური ჯგუფების მიხედვით და არა სტუდენტების ინდივიდუალური ნაწერით. ამიტომ დეკანატმა სტუდენტებთან შეთანხმებით საგამოცდო ცხრილი ისე შეადგინა, რომ ერთ აკადემიურ ჯგუფს ერთ საგანში გამოცდისათვის მიეცა ორ დღე, რის შემდეგ იხურება აკადემიური ჯგუფის საგამოცდო ფურცელი და უბრუნდება დეკანატს.

ქიმიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები არ დაინტერესებენ ცოდნას, ენერგიასა და თავის პედაგოგიურ გამოცდილებას და ეკეთებენ ამ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომელიც უსაფლეს სკოლას დაუსახა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდები, სტუდენტები, აღფრთოვანებულნი სკკპ XXII ყრილობის დადგენილებებით, ახალი შემოქმედებითი საქმიანობით შეხვდებიან ახალ 1962 წელს.

დოც. **ნ. ფირსოვალავა,**
ქიმიის ფაკულტეტის დეკანი.

ღია პარტიულ კრებაზე

იურიდიული ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჩატარდა, მიეძღვნა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილებაზე. კრებამ მოისმინა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის — უფროსი მასწავლებლის ა. კარანაძის მოხსენება თემაზე—სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილებაზე.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ატარებს ფაკულტეტის დეკანატი, კათედრების პარტიული ორგანიზაცია საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილებაზე, აგრეთვე აღნიშნა ნაკლოვანებები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, მიუთითა იმაზე, რომ აკადემიური წარმატების ღონე საღამოს ჯგუფებში დაბალია, ზოგი სტუდენტი ლექციებს სისტემატურად აცდენს (მაგალითად, სტუდენტ თ. გეგიას არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აქვს 60 საათი, გ. ჭელიძეს — 50 საათი, ვ. გიგიბერიას — 44 საათი ბ. ბოკერიას — 66 საათი და სხვ.).

დისციპლინის დარღვევის შემთხვევები არის მესამე კურსზე. მომხსენებელმა დაასახელა უდისციპლინო სტუდენტები: ს. პეტრიაშვილი, ნ. დარბაიძე, ნ. ლებანიძე და სხვ. ფაკულტეტის დეკანატმა რამდენიმე სტუდენტი წარადგინა აკადემიური ჩამორჩენილობის გამო გასარიცხად.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ფერცხვანიძემ, დოცენტებმა ნ. ლომსაძემ, ე. ნეიძემ, ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ასისტ. დ. ცინცაძემ. საქმიანი კრიტიკული სიტყვებით გამოვიდნენ სტუდენტები ბელთაძე, კაფსაძე, ჩერქეზიშვილი, ჩოლოყაშვილი, რომლებმაც გაკიცხეს დისციპლინის დამრღვევი თანაკურსელები.

კრება ვერ დაკმაყოფილა დისციპლინის დამრღვევი სტუდენტების ს. პეტრიაშვილის, ნ. დარბაიძისა და გ. ლებანიძის გამოსვლებმა.

ღია პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

დ. დოლაბაძე

ᲕᲔᲪᲜᲝᲒᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲥᲗᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲛᲪᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚ

ეკონომიური ცოდნა მაღალ დონეზე

KPCC XXII ყრილობამ, რომელმაც განიხილა და მიიღო კომუნისტის მშენებლობის დიადი პროგრამა, ხაზგასმით აღნიშნა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და ეკონომიური ცოდნის ამაღლების აუცილებლობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ჩვენი უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრა რომელიც ხელმძღვანელობს სახალხო მეურნეობის დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, ნაუოფერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა ეკონომიური ცოდნის ამაღლებისა და პროპაგანდისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებით ჩვენს ფაკულტეტზე შეიქმნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ათთვიანი კურსები, რომელმაც მუშაობა დიოწყო გასული წლის დეკემბერში. კურსების ხელმძღვანელობა დაეკვალა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრას. შეიქმნა მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობის ჯგუფი, სადაც ისწავლებოდა ორი საგანი — სოციალისტური ეკონომიკა და სოციალისტურ საძრწველო საწარმოთა ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა. აღნიშნულ საგნებში ლექციებს კითხულობდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, კათედრის გამეგ პროფ. ა. გოკიელი, დოცენტები — კ. გაბენია, ს. გამყრელიძე, პ. გარუჩავა, დ. ძნელაძე, ნ. დგებუაძე, ს. სოსელია, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სახალხო მეურნეობის საბჭოსა და ფინანსთა სამინისტროს მუშაკები — გ. მესერიძე, დ. გორგაძე, გ. წიგწიკაძე, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამეგ დოც. ბ. კელენჯერიძე.

ლექცია-სემინარების მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში შემავალი საწარმოების ეკონომიკისა და საქმიანობის ანალიზის საკითხებს.

მიმდინარე წლის 14 დეკემბერს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრაზე თავი მოიყარეს კურსების მსმენელებმა. მათთან გასაუბრების ჩასატარებლად მოვიდნენ კომისიის წევრები — ა. გოკიელი, ა. გაბენია, დ. ძნელაძე, ნ. დგებუაძე, ს. სოსელია, თ. ჭიაბრიშვილი.

იწყება გასაუბრება. კომისიის თავმჯდომარე პროფ. ა. გოკიელი და კომისიის წევრები მსმენელებს აძლევენ შეკითხვებს: შრომის ნაყოფიერების მნიშვნელობა და მისი ზრდის ფაქტორები, სამეურნეო ანგარიშის ბაზა და განნორკიელების გზები, წარმოების ტექნიკური ბაზა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა და შემცირების რეზერვები, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების ეკონომიური ეფექტურობა, შრომისა და ხელფასის ორგანიზაცია საწარმოში, წარმოების გეგმის შესრულების ანალიზი და სხვა. თანაც მოითხოვდნენ პასუხები დაკავშირებული ყოფილიყო იმ საწარმოთა საქმიანობასთან, სადაც თვითონ მუშაობენ.

თეორიული და პრაქტიკული საკითხების კარგი ცოდნა გამოავლინეს და მაღალი შეფასება დიიმსახურეს ა. გაშაყმაძემ (ქარხანა „ელექტროძრავის“ დირექტორი) შ. გურაბანიძემ (ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოს“ მთავარი ინჟინერი), ი. ბაჩილავამ (ქარხანა „ელექტროავტომატის“ წარმოების უფროსი), ვ. კაპანაძემ (რუსთავის მექანიკური ქარხნის დირექტორის მოადგილე), ვ. შენგელიამ (ქარხანა „ელექტროგამზომების“ მთავარი ინჟინერი) და სხვ.

კურსების მსმენელთა გამოშვების საღამო დამთავრდა.

გასაუბრებამ დაგვანახა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ფრიად კარგი საქმე წამოიწყო, რომელსაც წარმატებით გაართვა თავი ჩვენი უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრამ.

საღამოზე გამოითქვა სურვილი, რომ მსმენელებს სათანადო პირობები შეექმნათ კურსებზე მეცადინეობისათვის — მეცადინეობის დღეებში შეუმცირდეთ სამსახურებრივი დატვირთვა, მსმენელებისათვის შეიქმნას და გამოიცეს სასწავლო მასალები, პროგრამები და მეთოდური მითითებები, მოგვარდეს სამკითხველო დარბაზით სარგებლობის საკითხი და ბევრი სხვა.

1962 წლის იანვრიდან მუშაობას დაიწყებს მეორე ნაკადი, სადაც იმეცადინებენ მრეწველობის ეკონომიკისა და შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის ჯგუფები. მსმენელთა რაოდენობა, პირველ ნაკადთან შედარებით, მნიშვნელოვნად გადიდდება. წარმოების კიდევ უფრო მეტი მუშაკი აიმაღლებს კვალიფიკაციას, ეკონომიური ცოდნის დონეს.

დასაწყისი კარგია, გადავაქციოთ იგი ტრადიციად!

თ. ჭიაბრიშვილი,
სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრის მდივანი, „თბილისის უნივერსიტეტის“ კორესპონდენტი.

სურათზე: ფილოსოფიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის I კურსის სტუდენტებს პრაქტიკულ მეცადინეობას ფიზიოლოგიაში უტარებს დოცენტი ნინო ჭიტინაძე.

ფოტო ლ. ჭილაშვილისა

ლოღიკური დასკვნა

ამას წინათ ერთმა პროფესორმა გვითხრა: — გამოცდები კარს მოგადგათ, მეგობრებო, და თუ რომელიმე თქვენგანს თავის დროზე არ შეუწუხებია თავი, ახლა მაინც „ხუთი ჰიერზე“ სეირნობას ცოტა უკელთ, კინოთეატრებიც ცოტახნით მოიტოვეთ, ლოღიკური დასკვნა გაუკეთეთ საკუთარ შესაძლებლობებს და დარჩენილი ყოველი წუთი მაქსიმალურად გამოიყენეთ, თორემ...

ლექცია დამთავრდა თუ არა, ბიბლიოთეკისაკენ გავიქეცი.

— არა, „მზის დაბნელება საქართველოში“ არა გვაქვს, — შეწუხდა ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

შეეწუხდი მეც, მაგრამ რა უნდა მექნა? სამეცნიერო ბიბლიოთეკისაკენ გავწიე.

— სახლში გაცემა მხოლოდ ფრიადდისებებზე შეიძლება.

— არა, მე ფრიადდასანი არა ვარ!

— რა ვქნა, კანონია, გენაცვალე!..

— არა, თქვენ... და შევავლე წიგნით **სარგებლობის ბარათი სტუდენტთა სამკითხველოსათვის.**

ბიბლიოთეკის გამგემ ბებერი დაუსვა, ღიმილით მითხრა:

— **ხვალ სტუდენტთა სამკითხველოს მიაკითხეთ.**

— **გმადლობთ, მშვიდობით!**

მეორე დღეს, ლექციების შემდეგ, სტუდენტთა სამკითხველოში მივედი.

— **წიგნი არის, მხოლოდ...**

— **რა მხოლოდ?!.**

— **არ შეიძლება!**

— **რა არ შეიძლება, წიგნი ჩემს ხელზეა...**

— **პირველად ხომ არ ხართ სამკითხველოში? ჩანთით არ შეიძლება.**

— **ბოდიში, მე ლექციებიდან...**

— **დიახ, დიახ! — ალარ დამამთავრებინა სათქმელი ბიბლიოთეკარმა, — თქვენ ლექციებიდან მოდიხართ, მაგრამ სამკითხველოში ჩანთით შემოსვლა არ შეიძლება!**

— **კი მაგრამ გარდერობშიც რომ არ იღებენ?..**

— **ეგ ჩემი საქმე არ არის...**

ვერაფერი გავაწყეე... — ახლა მე რომ პლეხანოვის პროსპექტზე წავიდე, ჩანთა დატოვო და მოვიდე, ეს იმას ნიშნავს, რომ ორი საათი ჯერ დავკარგო ტუფილ-უბრალოდ... ჩვენ კი გვითხრეს: ყოველი წუთი მაქსიმალურად გამოიყენეთო.

კარგი იქნებოდა, თუ ის ამხანაგებიც, ვინაც ეს საკითხი ეხება, ცოტა მალე გააკეთებენ ლოღიკურ დასკვნას და სტუდენტთა სამკითხველო დარბაზში სტუდენტების შესვლის და წიგნებით სარგებლობის საკითხს მოაგვარებენ.

ლალა გოგრაძე

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡ ᲓᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

არც ისე დიდი ხანია, **რაც ჟურნალ „ცისკრის“** ფურცლებზე ახალგაზრდა პოეტ ლიანა სტურუას პირველი ლექსები გამოქვეყნდა. ᲨᲔᲘᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘ ᲛᲘᲓᲘᲐᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ. ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠᲘᲐ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲕᲔᲑᲐ. ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠᲘᲐ ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲕᲔᲑᲐᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲘᲖᲘ ᲘᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛ Ლ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ ᲡᲐᲣᲗᲐᲠ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲖᲘ ᲘᲡᲘᲐᲐ, ᲠᲝᲛ Ლ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ ᲡᲐᲣᲗᲐᲠ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲘᲖᲘ ᲘᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲛᲠᲯᲝᲡᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲗᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲘᲗᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲗᲘ ᲘᲡᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲛᲠᲯᲝᲡᲔᲑᲐᲡ